საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

ხელშეკრულება №81/1821
საყვავილე ლარნაკები (CPV კოდი:39298300)
ყავის მაგიდა (CPV კოდი:39143310)
მაგიდის ლამპები (CPV კოდი:31521100)
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის თინათინ ბრეგვაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „სანნა“ წარმოდგენილი დირექტორი სოფიო მინდელის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის საჭიროებისათვის 4 ცალი საყვავილე ლარნაკები (CPV კოდი:39298300) , 2 ცალი ყავის მაგიდა (CPV კოდი:39143310), 1 ცალი მაგიდის ლამპები-ის (CPV კოდი:31521100) მიწოდება;

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 213.70(ორას ცამეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს;

2.2. საქონლის ერთეულის ღირებულება მოცემულია „№1 დანართში“, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“;

3. **საქონლის ოდენობა, სახეობა და მიწოდების პირობები**

3.1. „შემსყიდველის“ საჭიროების შესაბამისად „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში 2018 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიტაძის.№4;

4. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. „მიმწოდებელი" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის თაობაზე „შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რისთვისაც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით;
4.3. „მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.„შემსყიდველი" მიღებული საქონლის თაობაზე ყოველ ეტაპზე „ მიმწოდებელთან " ადგენს მიღება - ჩაბარების აქტს;
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის" მიერ იმ საქონლის მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს „მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;
5.3. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი";
5.4. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთვევაში „შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
5.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია: სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტი - ივანე სალუქვაძე;

6.მხარეთა უფლებები

6.1.„მიმწოდებელს" უფლება აქვს:
6.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადახდა;
6.2.„შემსყიდველს" უფლება აქვს:
6.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
6.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.
7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. და მე-6 მუხლის 6.1.1. პუნქტის შესაბამისად.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის" საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სახვა.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევების დროს;
ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;
10.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

12.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.4. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს" ან/და „მიმწოდებელს" უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;

12.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შერულებაზე კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების 5.5 პუნტში აღნიშნული პირი.

13.2. „შემსყიდველის" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

13.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით.

იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი".

13.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

SANNA LTD * 404508154 * JYSK

14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ერთი პირი „მიმწოდებელთან" ერთი პირი „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი	შპს „სანნა"
მის: ქ.თბილისი, ჩიტაძის ქ.№4	მის: მის: ქ. თბილისი, გალერეა თბილისი
საქართველოს ეროვნული ბანკი	ტელ:591750077
კოდი:220101107;	ბანკი: ბანკი ქართუ
ა/ა №200122900;	ბანკის კოდი: CRTUGE22
ს/კ №204579456;	ა/ა: № GE45CR0120002010173602
დირექტორი	ს/კ: №404508154
თინათინ ბრეგვაძე	დირექტორი
	სოფიო მინდელი

დანართი N 1

	CPV კოდი	დასახელება	გამზომი ლების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულე ბა (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	39143310	მაგიდა 40X40სმ	ცალი	1	39.00	39.00
2	39143310	მაგიდა 55X55სმ	ცალი	1	55.00	55.00
3	39298300	საყვავილე ლარნაკები	ცალი	2	29.90	59.80
4	39298300	საყვავილე ლარნაკები	ცალი	2	7.50	15.00
5	31521100	მაგიდის ლამპა	ცალი	1	44.90	44.90
	სულ					213.70

„შემსყიდველი“
სსიპ საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის
დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი
ინსტიტუტი

დირექტორი
თინათინ ბრეგვაძე

„მიმწოდებელი“
შპს „სანნა“

დირექტორი
სოფიო მინდელი